



№ 1 (1347) იანვარი 1971

მეგობარი

გამოცემის 48-ე წელი ფასი 20 კპ.



ნ.ბ. გ. ფიცხელაძის ნახატი

— ფერის მუხაკს კლუბის გამგედ გაწინაურებთ და უარს ამბობთ?
— დაცინაურებთ, კაცს კუქს რომ გააგდებინებთ პირიდან?



ლვინოვებისა და კონიაკების იალტის მეორე საერთაშორისო კონკურსზე საქართველოდან წარდგენილი 41 ნიმუშიდან 29 დასახელების ღვინომ და კონიაკმა ოქროს მედალი დაიმსახურა.



გამარჯვების ალუში.

ახალი სიძლია კვედ ჰანგებზე

ერთ სკოლაში მასწავლებლად მუშაობდა მარო, სუყველას ეკითხებოდა: „ვისი შვილი ხარო? ოჯახებთან კონტაქტები უნდა დავამყარო, კარგ ნაცნობებს რა სჯობია... ჰარი, ჰარალალო!“ ერთმა უთხრა: „ძვირფასო მასწ. უნდა გაგახარო, შერეული მაღაზიის გამგის შვილი ვარო, სულ სავესეა აქვს საქონლითა ვიტრინა და თარო. პატივსა გცემს, მიაკითხე, როცა მოიცალო, მე კი ხუთი დამიწერე! ჰარი, ჰარალალო“. ახლა კი სხვას გადახედა: „შენ რას იტყვი, დარო? შენც ხომ გინდა ხიფათისგან გიხსნა, დაგივარო და იოლად გამოცდები კარგად ჩამაბარო?!“ „მამაჩემი მმართველია, დედისერთა ვარო, ამის შემდეგ „ორიანით“ აღარ გამამწარო, თუ გინდა, რომ არ მოგაკლდეს უკვდავების წყარო, და მანქანით გასეირნოთ... ჰარი, ჰარალალო“. ბოლოს ერთსაც წასჩურჩულა: „მამა ვინ გყავს, ვანო? არა გიშავს, გაისარჯო, ცოგა დამეხმარო, სხვა თუ არა, ბალი მინც იქნებ დამიბარო?!“ „მამაჩემი დარაჯია, რაღა დაგიმალო, ქვეყნის დოვლათს იცავს, რათა არვიწ მოიპაროს, ჩემს გარდა კიდევ სამი ჰყავს: კოგე, ზაზა, ვანო... ვცდილობ, ყველა გაკვეთილი კარგად შევისწავლო, მშობლები და ახლობლები სწავლით გაუახარო. რაც მეკუთვინის, დამიწერე, ძვირფასო მასწ. მარო!“ დრო გავიდა... უმალესში სურთ, რომ ჩააბარონ, ხუთიანმა ვერ უშველა კოკისა და დაროს... ბოლოს ვანო დიდინებდა: ჰარი, ჰარალალო!

კრიტიკა კვემოლან

მრთ-მრთ სოლიდურ ორგანიზაციაში სოლიდური ადგილი მქონდა, თავიც სოლიდურად მეჭირა და ყველა სოლიდარობას მიცხადებდა, ყველა მიყვარდა და ყველას ვუყვარდი. ხუთი წლის მანძილზე ხუთი ზედმეტი სიტყვა არ უკადრებიათ ჩემთვის. სულ „პატონობით“ და მამის სახელით მომმართავდნენ... ერთ მშვენიერ დღეს მოეწყო გადარჩევნები, ვადამიდგენ ამომრჩევლები და კიდევ ვადამირჩიეს. ვადამირჩიეს და თანამშრომლებმაც ტონი შეიცვალეს. „იჩიც“ და „პატონოც“ ერთად დაგვარგე ორივე. ერთი სიტყვით, გადაყენებულ კაცზე საცოდავი არ ყოფილა ქვეყანაზე. კედლის გაზეთის რედაქტორმა, რომლისგანაც გული შეწუხებული მქონდა „იჩობით“, ერთ დღეს, „იჩის“ მაგივრად „აჩუ“ მითხრა და წერილის დაწერა დამავალა ჩვენი ორგანიზაციის ცხოვრებიდან (რა ვიცოდი მე უბედურმა, თურმე კრიტიკა კედლის გაზეთიდანაც ძნელი ასატანი ყოფილა!). მეც ავდექი და დავწერე ორი პატარა წიკპურტი ზუსტად აი, ასე. „1970 წლის სექტემბრის თვიდან ორმოცდამეორე საფოსტო განყოფილებიდან N ორგანიზაციაში ყოველდღიურად მიგვაქვს 80 დასახელების გაზეთი და ყოველთვიურად — 20 ჟურნალი. სარწმუნო წყაროებიდან შევითვქვით, რომ, ფოსტის მიღებისთანავე, ჟურნალ-გაზეთები პატიმრობაში ატყავთ. ძვირფასო რედაქციავ! გთხოვთ, დაწვრილებით გვაცნობოთ N ორგანიზაციის მიერ გამოწერილი ჟურნალ-გაზეთების დაპატიმრების მიზეზი: რა დანაშაული მიუძღვით, რომელი მუხლი აქვთ მიყენებული, შეეხება თუ არა ამნისტია და თუ არ შეეხება, როდემდე იქნებიან „სტროგ არესტში““

ფოსტალიონი

„ამა წლის ერთ მშვენიერ დღეს ჩვენი ორგანიზაციის თანამშრომლების ერთმა ჩგუფმა მოაწყო ფარული რიდი ჩვენს ბიბლიოთეკაში. ნახეს „არეულ-დარეულობა“, „დაულაგებელი წიგნები“, „უთავბოლოდ დაპრილი გაზეთები“, „დარღვევის უამრავი ფაქტი“, დაკარგეს ტაქტი, შეადგინეს აქტი, მოაწერეს ხელი, ბიბლიოთეკარს გამოჭრეს ყელი... გააუქმეს შტატი, შექმნეს შტატი“, დაალაგეს წიგნები, დააწყვეს გაზეთები, ჩაკეტეს კარები. იღებენ წიგნებს, ჟურნალებს, გაზეთებს... არც თვითონ კითხულობენ, არც შენ გაკითხებენ, თუ მოთხოვ რომელიმეს, მასხარად აგიგდებენ; საკუთარ ოთახში ვერ ეტევიან, ბიბლიოთეკაში არც ერთი არ ჯდება, გაზეთები კი მტკრისაგან შავდება, წიგნებიც შავდება, წელიწადი თავდება და... ვის წაუყუენოს ბრალდება?“

წიგნ-ჟურნალ-გაზეთთა მონაბრძნაშაული შვილი“.

გამოაკრეს გაზეთი, წიკპურტები ზოგს მოეწონა და ზოგს არა. განრისხდა განყოფილების უფროსი, ვისაც წიკპურტი გულზე მოხვდა, დაწერა განცხადება, მოითხოვა სამსახურიდან ჩემი გათავისუფლება, რედაქტორის დროებით გადაყენება და... „იმსჯელეს პირველადმა ორგანიზაციებმა გაერთიანებულ სხდომაზე, სამსახურიდან მოხსნა შემეცვალეს X მუხლით, რომელიც თურმე კედლის გაზეთში თანამშრომლობის უფლების დაკარგვას ითვალისწინებს. გთხოვთ, თქვენ მანც შემეცვლოთ და კედელივით დამიღებთ კედლის გაზეთისაგან გაუბედურებულ კაცს — ჭოჭიას!

თენგიზ ჰვიცილაშვილი



ნახ. 8. ფოსტალიონი

ნახ. 6. შინაგანაშენი



— ბაბო, ამ შინისა და მათის პრობლემა ტიხინ წაიღო, არ ვიხი მშენებანა რავენიცა თუ თინეფი!
— სულ შრითა, ზვილო, რაგონთა ხარ, ისა წაღო!



— რას ირუხებოთ თანს, სურა ზვილით და თინეფი დინეგონი!



— ბაბო, რაღა დასაღბით რავენი!

რას მიჩრავთ, კოლაგეზო!

თავი რომ არ შეგაწყნოთ, ერთ პატარა ამონაწერს წაგიკითხათ იმ ნარკვევიდან, მე რომ რუსულად ვთარგმნე. აი, რა ეწერა დედანაში:

«По мне грош цена сухим ширкарям руковаденым, запереноса в кабинете на четыре засова. Это по его милости высохла у нас пшеничные посевы и погибли виноградные плантации, что за каменной стеной. Однако, в райком все же с пониманием отнеслись к работе настояивым просьбам и оставили на работе временно».

მე ვთარგმნე:

„ჩაღო არ მიღობს ცხრაკოტულში ჩავეტილი ბელმდენდენი წყალწყალა ცირკულარები. ეს მავიხი წყალობაა, ყანები რომ გადავინხა და ყორები გაღმა ზურები გავიჩინა. მაგრამ რაიკომში მიანე ყურად იღეს მისი დატინებული თხოვნა და ასაწყო ზღ დროებით დატოვეს“.

თქვენი იეთ (თუ არ იეთი, მთარგმნელობა დაწერილია და შეიტყობთ), რომ თარგმნა ფუნის ჭემა არ არის; რომ დედანა ეუფლე უნდა მისალი; რომ მოყლდე უნდა თარგმნი, მაგრამ ქართულ ტექსტი მიანე დიდი გამოღობს; რომ... ერთი სიტყვით, კარგი თარგმანი თვისთავად არაფერია, თუ თარგმნილი დედანს დამორბა. ამ უკუშარბიტებს წინ რა დიდდებ, მაგრამ, თუ არ ეგზებებათ, ეს თარგმანი ჩემსავით ასო-ასო გადათავილდე და ნახათ, რომ 62 სასტუმრო ნიშანი დაიხოვავს. არც თარგმნილს უტრის-მეთოტი, ვთქვი და, გზახა-

რებულმა, განყოფილების გამგეს მივერბინე. იქ გამოირეკა, რომ ჩემი ატრკცება და ხმის ენერტული ერთი ყლილია.

გამგემ ჭერი დამიყვავა:

— ბიჭო, ჩაღო, რომ წერ... დედანში რომ გროშ ენა წერია? საღ გროში, საღ ჩაღო!

— კი მაგრამ, ქართულად ხომ...
— რის მაგრა? — გამგემ თავი ველარ შეიკავა. — გროშის დასი აქვსო, ვერ თქვი? ახლა აქ ნახე, რა გინია — ცხრაკოტული. იმ კაცს ცხრავა ზასოვა უწერია, ცხრაძელ რა უღუბლით ზრდი?

— მაშ, ახა, კლიტე რომ მიწერია, თის უღუღულზე ზის-მეთოტი, ასე უნდა მეთქვა?

— ახა რა?! ანდა ეს კაბინეტიო, ავტობი რომ ვეუბნებმა, საღ გააქტე კაბინეტი?

— მითრ, მახებული რომ...
— მაშალომა დამიწყე?! — დაკვილე გამგემ და ჩამირუსულა, — ფანგაერი! ნახე, აქ რა გინია: სუხი შირკარია დაკვილე და წაყაწყალა გამოვყავი.

— ბატონო, თარგმნაც შემოქმედებმა...
— სიხუსტე, ახანავო, სიხუსტე! ისე შე-მოქმედებმა. შენ რომ დედანს იკვდებ, კამენია აგრად-ს ადგელას ყორებს არ დაწერდი.

— კაცო, მშია, ქართულად ყორე ჰქვია... ქვის ლობე უნდა დამიწერა?!

— მაშ რა? ერთი აქვს ნახე, პშენინის პოსევი უნდა ვითარგმნი. ხრობის წინაესები დასაწერია? ან ვითომ ყურბის ჰლან-

ტილები არ გეკატრებოდა, შენმა მზემ, ამო-ლაგებოთი ზერგმს რომ გაძიხა?

— კარგი, ახა, — ვაცხარებდი მე, — просьбы როგორ უნდა ვითარგმნი, თხოვრებმა?

— აი, ი, ვეტყობა, რომ არ იცი, თარგმნა ყველს დღის ჭემა რომ გგონიოთ, ამას იხიბოთ მეკითხებმა...

— უცატრავო!..
— შეკავაოთ! — ხელო ასწია გამგემ, — წაიღე და შეტსწორო. ს პониманием отнеслись ყორად იღეს არ არის. ვაგებთ მოვიკიდნენ კარგი. ჩაღო არ მიღობსო, რომ ამბობ, კარგი ფორმა, მაგრამ ავტობის ასე აქვს: по мне грош цена. შენც ახა თარგმნი: ჩემთვის გროშის დასი აქვს. ციტე ქვემოთ ყ ნას გამოიტრკევიბა. აღადგინე!

შუბლიდან ცივი თლილი მოვიწმინდე და ლამაგეს მივარტერი.

— მაშ, ყ ნას იმ все дома როგორ იქნება? — ვთქვი და თვითონვე მთინევა, გამგემ მშვიდად მომიგო:

— დიწყეთ ასე: ჩვენთან... მეტე როგორც დედანშია.

ამწიარმა თინეფმა ციტე გული მომფხანა, თორემ, თქვინა მტერი, მე რომ ვუნებებე ვიყავი.

шлюпку на прокат. Мы довольны накатами по озеру, сидя на веслах Юочерепи. Световые зайчики радостно играли с зеркалами воды и отражались в беселье пыльных деревьев... Еще недавно мать высоко отставила от Шурочки. Мы сразу сблизились. Впервые слышали, и вскоре у нас пошли дети.

Пока, слава богу, все в порядке. Не деюсь...» და ა. შ.


მე ვთარგმნე:

„ვაგებე რა, რომ შუროკო უღუნებრებამდა შეყვარებული გროშამაში ნახე, მე იმ სასას ავღლ განავლ ქარხანა. ჩვენ ზღობდა ვი-გორავი ტან-ტანა, ვისკელით რა ზოგუნებე რაგონობის. სიხალისეული კურსლები სიხარულით თამაზობდენ ტანის ჩაყარებურ სობრტყესთან. ცხაღოდა მზიარული ჩიტების გადასმბა-ვადსობსმა. კიდევ არაფერიღინის წინ დედა მალა გამოცხებურა შუროკოზე. ჩვენ უმჯობე დაცლილი, ვითამაშეთ გროგოლი, და მალე ჩვენი წაყვიდენენ ბავყვები. ნახავსაღის, მაღლი დემარის, ყველავერი წაყარებია, ვიგებოვებმა.“

ამ მოთხრობას თარგმანი დღესაც მინ დიდეს წაუბრა შემტყვა. თუმცა, რაღომ უნდა მტრებენოვნი? მე ხომ უსტკად იმ მე-თოლით ვთარგმნე, როგორც დედანშია? რომ ჰქვია?

შეირიეთ, ხალხო, რა ვიღობო, თორემ, შემოქმედლებით წყითა და დავიტი ნახებო მშღღევი მელეებმა!

აშინა ჯინაზარული



— ბაბო, ჩაღარ ვული ირუხებო, ბაბუნი ბილაჩიოილარ ვერ ბაბოგვასე!



ანტარტული ბაბოთის ბაბოგა.



— ეს საბო და ბაბოლა ბიბოლა კოხიბო ბაღადობთ, ხა ლილენ ატლუმბარლ უნდა ბიბოგაო!

ბაკათი ნიხნს

ამა მთავრით...

ცდრტული და უტრის მძამ სულონი — 62 ჰექტარი (70 ძირი ციტრუსი) ახა, მქვენ იყო, შვიდობო, ჩოკრა მძებრავი იკვებებოთო, უტობა მამამ და თავად ჩოკიდე არჩინა მე; იტობინს ვანსახებრებოლ.

არის შურკო არხავია ზარბს დედამიწეც ცუტავებოა. სწორად ასეთი ხანბო აღინდა ჩვენი ფურბოს მძამ: მას არა მარტო საუფობო მიწის ნაკვეთი ცუტავდა, თუთი კლდეტრგინებს ველ-მინდვრებო დაიწვინა და მისი შეკავი ზურკი, ჩოკიდელ სველუტეც ვანავა. შურკი ერთი ცლილ ცუტავი; და მათოში შურკო ქაღოლ ლაქოჩინდა. ამქვენ ვიცოტავო და ახალი ამქვენ ბიანინა... სუქარ-უღოლე ცუტავა და სამოქმედ ასასუბურე რუსები ვანდა. დავაქრეს, ვანსახებრებს, ცოტრეს, ჩოკიდეს, სანქერს, მე, იტობდუ დაიბვირეს რუსებო. მივჯიტანე ცნობა, რომ მანვანარი შენია და

გავიშვებოთ, ცოტრის კომპლენინობლად დიდი მძამ წინამ ვანკატობის მანისელო სახლად ამოწერილო, ცნობას ვან მახეცდა, მაგრამ ახლამა „ამებნა იხანეს (კომპლენინობის წყვირ გაზღა და სახლზე ჩაყარა ყლი-ბი ცნობებო. ვერ ერთ მძამ ვაჯგაროვი მოვლილი მაღა, მეტი მეორესი შენითანა ვანჩე შენის სხებმა ჩოკიდე ვანგებრებო, შენისა სულოის მო-ცუტავა დედამ და ბარკი ვანგებრებო დღობრა, მაგრამ ბარკო მოვია: სუ-ლიკო ვანოავილ დღეს სახლად და მის ბაღსაც თვითონ დატავიბო.

შემდეგ სოლსაბუს კრებებო... ამოხვინა თობიბებმა... სანაპირიბო ბი... მაგრამ არაფერია შეგვიან.

ამაში ნინეგო ერთ გონოც ვანგებრებო: იქნენ შენ ვაჯგარო მძამ, ვან-გაკვეთეც ვწერილი. ვებმა, ვანვანე წყაიბობს და ჩაყარის სულოის, თუ რა არის მძამსა.



ნიანვის საქაანლო პუნქი

ნიანვის საქაანლო პუნქი

ვის გინდათ პენსია?

ბარათი ლიკაპიდან

— სალამი და გამარჯვება გრიგოლ ვასილინი! — მიესალმა გზად მიმავალი პავლე ჩინჩალაძე გზის პირად გაჩერებულ გრიგოლ ბარჯაძეს.

— სალამი და სიკეთე ნუ მოგიშალავს ღმერთმა, ჩემო პავლე! საით გაგიწევია? — დაეკითხა გრიგოლი.

— ფოსტაში მივდივარ, პენსია მაქვს მისაღები, რაღაც ორიოდ გროში მერგება. — უპასუხა პავლე ჩინჩალაძემ.

— პენსია?! რა დროს შენი პენსია?! — გაიკვირვა გრიგომ.

— ასაკს რა მნიშვნელობა აქვს, მე უკვე 1963 წლიდან ვიღებ ყოველთვიურად 74 მანეთს, ყოველგვარი შრომისა და წვალუბის გარეშე. — უპასუხა პავლემ და გზა განაგრძო.

— გრიგოლს გაუმარჯოს! — მიესალმა მიხეილ დავთაძე.

— გაგიმარჯოს, მიშა! საით ყოფილხარ ამ დილაადრიან? — შეეკითხა გრიგოლი.

— პენსიის ასაღებად.

— პენსიის?! რა გაქვს საპენსიო, კაცო, თურამაშული ვაშლივით გაქვს დაწითლებული ლოყები!

— ავადმყოფობას და სიბერეს რაზე ვუცადო, როცა უშრომლად და უწვალუბლად სახელმწიფო მაძლევს თვეში ას ცხრა მანეთს?

— მასწავლე, თუ ძმა ხარ, რა გზით გააკეთე ეს საშვილიშვილო საქმე?

— მაგ საქმის გაკეთება თუ გინდა, ალექსანდრე აბაშიძეს უნდა მიმართო.

— რომელ ალექსანდრე აბაშიძეს?

— რომელს და, სოფელ ითხვისის სასოფლო საბჭოს აღმასკომის დარაჯს.

— რას ამბობ, კაცო, დარაჯს რა შეუძლია, იმას ვინ რასა ჰკითხავს?

— მაგის ფიქრი ნუ გაქვს, არც ის ჰკითხავს არავის, დაბადების მოწმობას გადაგიკეთებს. დაბადებული რომ ხარ 1919 წელში, 10-15 წელს შენი ხათრით მოგიმატებს და გათავდება საქმე. დაბადების მოწმობას შემდეგ წარადგენ საპენსიო კომისიაში, სხვა საბუთებთან ერთად, და პენსიაც ზედ მოკვეთება. — მიხეილმა დაწვრილებით აუხსნა ყველაფერი.

— მერე და, კომისია ასე იოლად იჭერებს სიცრუეს? — შეეკითხა გრიგოლი.

— რაზე არ დაგიჭერებენ, ცხენი ხომ არა ხარ, რომ კბილი გაგისინჯონ? კომისიაზე გასვლისას წვერი მოუშვი და ხელში თუგინდ ყავარჯენიც დაიჭირე, ეჭვი არავის შეეპარება შენს წლოვანებაში, — განუმარტა მიხეილმა.

— ალექსანდრე აბაშიძე რას იღებს საბუთის გაკეთებაში?

— ერთი ასი მანეთი აჩუქე და კმაყოფილიც დაგრჩება.

გრიგოლ ბარჯაძეს სიხარულისაგან ზედა ტუჩი აუთამამდა და სოფ. ითხვისის სასოფლო საბჭოსკენ გაეშურა, ალექსანდრე მიხეილის ძე აბაშიძე მონახულა, მასთან ერთად მოლზე წამოწვა და დაიწყო საუბარი, რომელმაც გულითადობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა.

— შენ მომიტანე შენი დაბადების მოწმობა და დანარჩენი ჩემზე იყოს. გინდ სამოცი წლისას გაგხდი, გინდ — სამოცდაათისას... და მერე შენ იცი!

— პატივცემულო ალექსანდრე! როგორ აკეთებთ ასეთ საქველმოქმედო საქმეს ასე კარგად, რომ ეჭვი არავის შეაქვს თქვენს ნახელავში?

— შენ ხილი ჭამე, მეხილეს რას დაეძებ! დაილოცოს დიდი ქიმია, ყველგან რომ გაიდგა ფესვები.

— ქიმია რა შუაშია?

— ქიმიური ხსნარით კეთდება ყველაფერი, ქიმიური ხსნარით ამოშლი ძველ ჩანაწერს და შემდეგ, რაც გინდა, იმას ჩაწერ შიგ. — ალექსანდრემ ჩაუტარა კონსულტაცია და გასცა პასუხი შეკითხვაზე.

— პატივცემულო ალექსანდრე! ბევრს გაუკეთე ასეთი საბუთები? — შეეკითხა გრიგოლი.

— ჩემოდენა ამაგი კაციშვილს არ ექნება ქიათურის რაიონში. ზოგჯერ საჩხერის რაიონის მაცხოვრებლებსაც ვეზმარები. ჩემი გაკეთებული დაბადების მოწმობით სპირიდონ იაკობიძე 1965 წლიდან თვეში 102 მანეთს იღებს, ტერენტი ჭილაძე 1967 წლიდან — 100 მანეთს, ვალიკო სილაგაძე 1961 წლიდან — 100 მანეთს, ასევე ავაშენე და დაავაშენე გრიგოლ ქურციკიძე, პავლე ჩინჩალაძე, მიხეილ დავთაძე და სხვა მრავალი. ერთი სიტყვით, რამდენიმე ათეული კაცი ღღესაც ჩემს მხეს ფიცულობს. — უთხრა ალექსანდრემ და მწვანე მოლზე გვერდი მოიცვალა.

გრიგოლ ბარჯაძემაც მალე გაიფორმა პენსია და ყოველთვიურად 120 მანეთს ისრიალებდა ჯიბეში უშრომლად და უწვალუბლად.

ამჟამად ალექსანდრე აბაშიძეც „პენსიაზეა“, კარჩაკეტილი საყენის სარკმლიდან იჭვრიტება. ალექსანდრეს ყოველდღიურად უჭვრეტს მზე, რომელიც პენსიაზე გასვლას ჯერაც არ აპირებს.

ლიცაგა სოფელს გვირქვია (იქვე არის ბიჭვინთა), სანთლით დავეძებთ სამართალს, შეპყრობილი ვართ იჭვითა...

ნოგესხენებთან, შვედივართ ჩვენც საკურორტო ზონაში, ჩიტის რძეც კი გვაქვს, ეგაა — წყალი არ გვიდგას კოკაში. სოფელზე გავლით კურორტს ხომ

წყალი მიუდის მიღებით, ჩვენთვის არ გამოიმეტეს, უფრო ამაზე ვირევით...

ასე რად გამოგვარჩიეს, ნეტა, ვინ დაგვახარისხა? თვალი გვრჩება და გარს ვუვლით, ნილი ჩვენა და წყალი სხვას?

არ იქნა, აღარ გამოჩნდა ვინც, კეთილისმყოფელი, გაკვირვებისგან ნიანგო, პირს აბჩენს მთელი სოფელი!

ბარათი ჩაიბარა ზაზამ

„ნიანვის“ საქაანლო პუნქსი!

ამ ბარათს ლოგინიდან ვწერ. განზე თბილი ქურჭი მაცვია და მხრებზე საბანო მაქვს შემონვეული. ოთახში ნავთქურა, საკუჭნაოში კი გაზი ანთია. ვწერ იმ მზრუნველობის შესახებ, რომელსაც ორჯონიკიძის რაიონის გათბობის მეურნეობის ზოგიერთი მუშაკი იჩენს ვაჟა ფშავლას გამზირის № 39-ის პირველი კვარტლის 23-ე კორპუსის მცხოვრებლების მიმართ. მართლაც რომ დიდი ზრუნვის ქვეშ ვართ მოქცეული: ჩვენი ბინები, განსაკუთრებით კი I-II სართულებზე მცხოვრებლებისა, ისეთი გამჭოლი სიცივითაა უზრუნველყოფილი, რომ, კარგა ხანია, გამოვთიშეთ მაცივრები და ყველა ის ხელსაწყოები, რომლებიც ყინვასთან არის დაკავშირებული. შედეგად საუცხოვოა: ზამთრის დაწყებიდან დღემდე არც ერთ მაცხოვრებელს ნედლი ხორცი არ გაფუჭებია. ამ ბოლო დროს კი ისე კარგად წავიდა საქმე, რომ ბაზრიდან მოგანილ სურსათ-სანოვავებს პირდაპირ ორთქლით გათბობის რადიატორებზე ვალაგებთ და გზარობთ შედეგით. მართალია, ამ ბოლო დროს ზოგიერთ ჩვენგანს სველაბაგონებმა, შაკიკმა, ფილგვების ანთებამ და გრიბმა დარია ხელი, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს სასლმმართველობისათვის? გვგმას ხომ ასრულებენ და მეტი არცაა საჭირო!

როგორც სინოპტიკოსები ვარაუდობენ, ყინვა კიდევ უფრო მოიმატებს, მაგრამ მაგისი აღარ გვეშინია. ჩვენ იმაზე უფრო ვნადვლობთ, რომ ადრე თუ გვიან გაზაფხულის მცხუნვარე მზე გვერდებს გაუთბობს ცენტრალურ გათბობას და, აღნიშნული, ეჭვის ქვეშ ხომ არ დააყენებს ზემოხსენებული ორგანიზაციის ზოგიერთი მუშაკის შეუბღალავ ავგორიგებს?

საკურორტო შარვალი

წელს კურორტზე წასასვლელად ვემზადები. მხოლოდ იცით, რა? უშარვლოდ უნდა წავიდე... ცუდად ნუ გამიგებთ, შარვლით კი წავალ, მაგრამ სპეციალური საკურორტო კოსტუმის შეკვეთას აღარ მივცემ. ერთხელ შევცდი და...

თუმცა ყველაფერს თავიდან მოგიყვებით: შარვან გადავწყვიტე, თუ კურორტზე წავიდოდი, წინასწარ მივსულიყავი მკერავთან და საკურორტო კოსტუმს შემიკვეთა. ნაჭერი შევარჩიე და მკერავს ზომის აღება ვთხოვე. მან შეურაცხყოფილად შემომხედა:

— თხუთმეტი წელია გიკერავთ და რა საჭიროა ზომის აღება?

ეს სიტყვები ჭკუაში დამიჯდა და დავთანხმდი, ზომის აუღებლად, კოსტუმის შეკერვაზე. მაგრამ, რაკი ვიცოდი, რომ მკერავები ყოველთვის აგვიანებენ ხოლმე, გავაფრთხილე, კოსტუმს პარასკევამდე მზად ყოფილიყო.

ყველაფერი რიგზე იქნებოდა, მითხრა. პარასკევს საღამოს კოსტუმის მოსაგანად გავგზავნე კაცი. მზად არ იყო. ცხრაზე გავგზავნე — მზად არ იყო. ათის ნახევარზეც არ იყო მზად... როგორც იქნა, თერთმეტის ოც წუთზე კოსტუმს მომიტანეს, ხოლო თერთმეტის ორმოცდაათს წუთზე მატარებლით გავემგზავრე.

შაბათს უკვე კურორტზე ვიყავი. დავისვენე, ექიმს გავესინჯე, მკურნალობის თანხა გადავიხადე, რამდენიმე ქალიც გავიცანი და გადავწყვიტე, კვირას საკურორტო კოსტუმით გამოვსულიყავი.

ჩემს ბარგს ცოლი, სიდედრი, იაღონიანი გალია, მოსამსახურე ქალი, სამი ბალიში, სამი ლეიბი და საკუჭნაოს ჭურჭელი შეადგენდა. არ წამომიღია მხოლოდ დიდი ქვაბი, თუმცა სიდედრი არ მეშვებოდა, წამოიღო.

კვირა დილით ჩემოდნიდან ახალი კოსტუმის ამოვიღე, პირველად შარვალი ჩავიცვი და კინაღამ ჭკუიდან შევიშალე: გოგები ორ-ორი გოჯით გრძელი აღმოჩნდა და მიწაზე ეთრეოდა. დავწყვიტე მკერავი და დავიფიცე, რომ აწი გაუსინჯავად კოსტუმს არ წამოვიღებდი და მკერავს არათუ შესაკერ თანხას, დარჩენილ ვალებსაც აღარ გადავუხდიდი.

მაგრამ ახლა როგორ მოვიქცე? შარვალი ხელში ერთხელ კიდევ გადავატრიალე და ალერსიანი ხმით ცოლს მივმართე:

— მომისმინე, ჩემო ანგელოზო! აიღე ეს შარვალი, გოგებს ორ-ორი გოჯი მოაჭერი და ქვევით გადაუკეცი!

— რას ლაპარაკობ? მე მაგის ვაკეთებ სად შემიძლია? — მასხურობს ცოლი და ვაგყობ, სიამოვნებს, რომ დღეს სახლში მომიწევს ჯდომა.

— რაგომ არ შეგიძლია?

— როგორ? ეს ხომ მკერავის საქმეა!

— ეს ვიცი, მაგრამ კურორტზე მკერავი არაა. მაინც, შენ რაგომ არ შეგიძლია?

— ბავშვობას თავი დაანებე! ისლა მაკლია, ახალი შარვალი გავაფუჭო!

— აქ რთული არაფერია, მოჭერი და გადაუკეცი!

— არა, არ შემიძლია! მერე შენ თვითონ დამიწყებ ლანძვას.

ახლა სიდედრს შევხვებო.

— რას ლაპარაკობ, შვილო?! დღეს ხომ იცი, რა დღეა? წმიდანთა კვირაა. კვირა რომ არ იყოს, სიამოვნებით დაგიმოკლებდი.

ერთადერთ იმედად მოსამსახურე ქალი მრჩებოდა. მივედი. შარვალი ხელში რომ დამინახა, კედლისკენ მიგრიალდა და სახეზე წინსაფარი აიფარა.

— მომისმინეთ, კიტი, ნუ ვერბობთ!..

— მე ამის არაფერი გამეგება, ჩემს ცხოვრებაში კაცის შარვალთან საქმე არა მქონია, რამდენჯერმე მხოლოდ ლილეები მიმიკერებია. ეს არის და ეს.

— კიტი, ძვირფასო, როგორ არ შეგიძლია? მე ხომ თქვენგან სახელსწრე საქმეებს არ მოვითხოვ. აქ რთული არაფერია. აიღეთ შარვალი, გოგებს ორ-ორი გოჯი მოაჭერთ და ბოლოები გადაუკეცი! ეს ხომ უბრალო საქმეა?

— არა, არ შემიძლია! წადით, წადით აქედან, თორემ ქალბატონი შეინჯავს, რომ საკუჭნაოში შიშველი შემოხვედით!

ერთი მაგრა შევიგინე, ოთახში შევვარდი, შარვალი იატაკზე დავაგდე, ფარდები ჩამოვუშვი და დავწეი, რათა ბოლმა ძილში მაინც გამეჩქარებინა.

სანამ მეძინა, აი, რა ამბავი მოხდა: ცოლს შევბრალებივარ, ფეხაკრებით შემოსულა, შარვალი წაუღია, გოგები ორ-ორი გოჯით დაუმოკლებია, გადაუკეცავს და საწოლის თავზე გადაუკიდია... გაეღვიძება და გაუხარდებაო.

კარგი იქნებოდა, მარტო ცოლს შევბრალებოდი! ჩემდა საუბედუროდ, სიდედრსაც შევბრალებივარ: ჯერ ხატთან მისულა, პირველი გადაუწერია, ოთახში შემოსულა, შარვალი წაუღია, გოგები ორ-ორი გოჯით დაუმოკლებია, ბოლოები გადაუკეცავს და საწოლის თავზე გადაუკიდია... გაეღვიძება და გაუხარდებაო.

მთელი ჩემი უბედურება კი ის არის, რომ მოსამსახურე ქალსაც შევბრალებივარ და მასაც იგივე უქნია... გამომეღვიძა და რას ვხედავ: შარვალი დამოკლებულია! აღგატებულმა გავყავი გოგებში ფეხები და განზე, შარვლის მაგივრად, გრუსი მაცვია... არც ვაციე, არც ვაცხელე, გამოვვარდი გარეთ, ნახევრადტიტყელმა გავიბრძინე ხალხით გაჭედილი კურორტი და საცურაო აუზში თავით გადავეშვი...

აი, რაგომ ვაპირებ წელს, სპეციალური საკურორტო შარვლის გარეშე, დასასვენებლად წასვლას.

თარგმნა **მ. იორაგაფილია**



მთავარი რედაქტორი **ნოდარ ღუმბაძე**

სარედაქციო კოლეგია:

- გ. ბოლქვაძე** (პ/მზ. მღვიმანი),
- ს. კლდიაშვილი**,
- ნ. გალაგონია**,
- ბ. ნიშნიანიძე** (მთავ. რედ. მთავრული),
- ნ. ზველიძე**,
- ო. ჭელიძე**.

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“.

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42.

Тбилиси, Сатирико-юмористический журнал «Нiangи».

ბმლ. რედაქტორის 99-76-69, რედ. მოადგილის 93-49-32.

საერთო განყოფილების 93-10-78.

სამ. კვ ცკ-ის გამომცემლობა. ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.

გადაცემა ასაწყობად 11/ХI 11-70 წ.

ხელმოწერილია დასახელებად 6/1-71 წ.

ქალაქის ზომა 70x108 1/8.

ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,

პრობითი ნაბეჭდი ფურცელი 1,4.

სამ. კვ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა,

თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ТИПОГРАФИЯ ИЗД-ВА ЦК КП ГРУЗИИ

ТБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИНА № 14


შეკვ. № 3830.

შეკვ. № 01606.

ბირაჟი 115.300.



ნახ. მ. აბაშიძის



29
40
69

ჯიბიკრებთან სასაუბრო ანის განმარტებითი ლექსიკონი

დურა — ქალის პორტმონე
 ვტხვავ — ვხსნი
 ჩერდაკი — ხალათის გოლისკიბე
 კულა — კოსტუმის შიდა ჯიბე
 არიფი — მოტყუებულო დამკარგავი
 სუხარობა — მობარვა
 ლაპატნიკი — მამაკაცის ჯიბის საფულე

ქსივი — საბუთი.
 არ შევასება — არ მესიამოვნება
 გორსალა — იხ. არიფი
 ბაითი — სახლი
 დამხანაგის — დამიჭირეს
 ჩავსერდები — ჩავალ
 წამამხერეს — წამიყვანეს
 მოლენდით — მოღიით
 დაბრედვა — მოკვლა
 დურა — რეკოლგირი
 კენჭები — ტყვიები
 სიფანდი — ცრუმობრობა (ტყუილი)
 პისტონიკი — შარვლის პატარა ჯიბე

შეკრება და მოგვაწოდა **ვლ. მიტაძე**.

ვაშინგტონის ადმინისტრაცია ასტრო-
ნომიულ თანხებს გამოჰყოფს სამხედრო
ხარჯებისათვის. თვით შეერთებულ შტა-
ტებში კი 32 მილიონი ამერიკელი მო-
ქალაქე განიცდის სიღატაკეს.

გაზეთიდან



პეროვის ნახატი — „ჩანს სმა მითიუჩაში“ — მიხედვით.